20/02/2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იტალიის ახლადდანიშნულ ელჩს შეხვდა

ა.წ. 20 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იტალიის ახლადდანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი ენრიკო ვალვო მიიღო.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

ელჩმა მის უწმინდესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ თავის მხრივ ხელს შეუწყობს იტალიისა და საქართველოს მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბ-ნ ენრიკო ვალვოს ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

— patriarchate.ge